ეროვნულ უმცირესობათა გეოგრაფიული თავისებურებანი საქართველოში

ანა სანოძე
ელ-ფოსტა: ana.sanodze800@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, 0179, თბილისი, საქართველო

საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა, სადაც ოდითგანვე თავს იყრიდა სხვადასხვა ერის წარმომადგენელი, რომელთა ნაწილმა ასიმილაცია განიცადა, ნაწილი დაბრუნდა სამშობლოში, ნაწილი კი საქართველოში დასახლდა და შეინარჩუნა ამ ერისთვის დამახასიათებელი ეთნოკულტურის ნიშნები.

ნაშრომი წარმოაჩენს იმ ისტორიულ-გეოგრაფიულ თავისებურებებს, რაც თან ახლდა საქართველოში ეროვნული ჯგუფების დასახლებას და იმ გეოგრაფიულ თავისებურებებს, რაც დღეისათვისაა დამახასიათებელი.

თავდაპირველად, ნაშრომში განხილულია საკითხი თუ ვინ წარმოადგენს ეროვნულ უმცირესობებს; ყურადღება გამახვილებულია თუ რა ლანდშაფტებსა და ბუნებრივ პირობებში ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობები და რამდენად ჰგავს ეს უკანასკნელი ისტორიული სამშობლოს მსგავს მახასიათებლებს; იმის წარმოსაჩენად თუ რატომ დასახლდნენ ეს ეროვნებები კონკრეტულ ტერიტორიაზე, შედარებულია ადგილთა ბუნებრივ–გეოგრაფიული პირობები და განხილულია ისტორიული ფაქტები, რომლებიც წინ უძღვოდა ეროვნულ უმცირესობათა საქართველოში კონკრეტულ ტერიტორიაზე დასახლებას. ნაშრომში ასევე განხილულია ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული სტატისტიკა, თუ როგორ იცვლება ეროვნულ უმცირესობათა რაოდენობა საქართველოში ცალკეულ ეროვნებათა და რეგიონთა მიხედვით დროში.

კვლევა ეხება ეროვნულ უმცირესობებს რომლებიცაა: აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ოსები, ქისტები, ავარელები, ბერძნები, ასირიელები, იეზიდები, ქურთები, გერმანელები, უკრაინელები, ებრაელები, თურქები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე ისაა, რომ აქამდე კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობები ლანდშაფტების მიხედვით არ გაუნაწილებიათ და არ შეუდარებიათ საქართველოში მათი საცხოვრებელი ადგილის ბუნებრივი პირობები ისტორიული სამშობლოს მსგავს მახასიათებლებს.

ნაშრომის ერთ-ერთ მიგნებას წარმოადგენს ის, რომ ეროვნული უმცირესობები განაწილებულია როგორც დაბლობის და მთისწინა გორაკ-ბორცვიან, ისე მთის ლანდშაფტთა კლასში და წარმოდგენილია ლანდშაფტთა 10 ტიპში; აგრეთვე, ეროვნულ უმცირესობათა ნაწილის თანამედროვე საცხოვრებელი ადგილის ბუნებრივი პირობები ჰგავს ისტორიული სამშობლოსას, ნაწილის კი - არა, და კონკრეტულ ტერიტორიებზე ეროვნულ უმცირესობათა დასახლება უფრო პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით მიმდინარეობდა, ვიდრე ბუნებრივი პირობების მსგავსების მიხედვით (ძირითადად იმ ეროვნულ უმცირესობებში, რომელთა ჩასახლებაც ხელოვნურად მოხდა).